**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# იამანიძე შოთა დავითის ძე

Image not found or type unknown



შ. იამანიძე

იამანიძე შოთა დავითის ძე (15. III. 1937, თბილისი, – 15. X. 1971, იქვე), სპორტსმენი (ფეხბურთელი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1969).

დაამთავრა სპი (1965). თბილისის „დინამოს" კაპიტანი (1961–66). სსრკ ჩემპიონი (1964) და მესამე პრიზიორი (1959, 1962, 1967). სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი (1960). სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1956). სამჯერ დასახელდა სსრკ „33 საუკეთესო ფეხბურთელის" სიაში. სსრკ ოლიმპიური ნაკრების წევრი (ჩაატარა 2 მატჩი).

გამოირჩეოდა დახვეწილი ტექნიკით და თამაშის საუცხოო ორგანიზაციის უნარით.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაიღუპა ავტოკატასტროფაში.